განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების დასკვნა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**
თავმჯდომარე: ირმა ღარიბაშვილი
**წევრები:**
თამარ ახალაძე

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **კოლეჯი „განთიადი“**
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი**
საიდენტიფიკაციო კოდი: 217890192
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი**

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ღარიბ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ.ახალაძე

*(ქალაქი, წელი)*

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის **№1085 ბრძანების** (11.11.2019 წ.) საფუძველზე, 2019 წლის 21-22 ნოემბერს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზნით განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადში“. აღნიშნული ბრძანებით განისაზღვრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
ირმა ღარიბაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (თავმჯდომარე);
თამარ ახალაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი).

ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ იქნა შესწავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი 5 პროფესიული პროგრამა. აღნიშნული პროფესიული პროგრამებია:

- **ელექტროობა;**
- **სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია;**
- **მებოსტნეობა;**
- **მეხილეობა;**
- **მეფუტკრეობა.**

ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადს“ ავტორიზაცია მიენიჭა **6 წლის ვადით 2019 წლის 15 აგვისტოს** (გადაწყვეტილება №154; 15.08.2019წ.). ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული დაწესებულების **პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა - 203.**

ექსპერტთა მიერ, ვიზიტისას გადამოწმდა საგანმანათლებლო დაწესებულების პირობები ავტორიზაციის სამივე სტანდარტის მიხედვით. შეხვედრა განხორციელდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და კომპანიების წარმომადგენლებთან - ინსტრუქტორებთან. შემოწმდა კოლეჯის მატერიალური რესურსი ყველა

პროგრამისთვის. ექსპერტებმა დაათვალიერეს პრაქტიკის ობიექტები. ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული „ვიზიტის დღის წესრიგის“ მიხედვით (დანართი 1). ვიზიტი განხორციელდება შემდეგ მისამართზე - ქ. გორი, ზესიკის ქ. №2.

ექსპერტებმა მოისმინეს კოლეჯის ადმინისტრაციის ხედვა პროფესიული პროგრამების განვითარებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებით. პროგრამებისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაციას, მექანიზმებს, მათი გამოყენების დამადასტურებელ საბუთებსა და კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტაციას. გადამოწმდა ადამიანური რესურსების პირადი საქმეები.

ექსპერტთა ვიზიტის პირველივე დღეს ჩატარდა ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა მატერიალურ - ტექნიკური ბაზა და გადაამოწმა საბიბლიოთეკო რესურსის სტანდარტთან შესაბამისობა დასამატებელი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში გადაამოწმა კოლეჯის ვებგვერდი, კატალოგი და რეესტრის ბაზა.
ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ კოლეჯის წარმომადგენლებს გააცნო ჯგუფის წევრებს შორის გაწეული მუშაობის შემაჯამებელი მოსაზრებები.
ვიზიტი წარიმართა კომფორტულ ვითარებაში, ორი დღის განმავლობაში ჩამოყალიბდა კონსტრუქციული თანამშრომლობა ექსპერტებსა და საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს შორის.

## III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ■ | ☐ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების | **მუხლი 6 / პუნქტი ა)** | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | | | |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების | **მუხლი 6 / პუნქტი ზ)** | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | წესის შესახებ. | | | |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. | **მუხლი 6 / პუნქტი გ)** | ■ | □ |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები. | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ■ | □ |
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ■ | □ |





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. | | | |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. | მუხლი 6 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | მუხლი 7 | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | მუხლი 7 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო | მუხლი 7 / პუნქტი ა.ა) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | | | |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)** | ■ | □ |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ■ | □ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | დაწესებულების მართვაში; | | | |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ■ | ☐ |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ■ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)** | ■ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)** | ■ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)** | ■ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)** | ■ | ☐ |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; | **მუხლი 7 / პუნქტი ზ)** | ■ | ☐ |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე | **მუხლი 7 / პუნქტი თ)** | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | | | |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | **მუხლი 7 / პუნქტი ი)** | ■ | ☐ |
| **3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ■ | ☐ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ■ | ☐ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | | | |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დადგენილა.

## VI. რეკომენდაციების შეჯამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

1. სასურველია, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (დუალური სწავლების) შემთხვევისათვის „საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი“ (ბრძ.№83; 06.09.2019 წ.) დაიხვეწოს და გაიწეროს ყველა იმ პროგრამისთვის, რომელიც ხორციელდება დუალური მიდგომით. ასევე, გათვალისწინებულ იქნეს ჩანაწერი პროფესიული სტუდენტის მიღების პერიოდისა და სეზონურობის შესახებ.

2. სასურველია სამმხრივ ხელშეკრულებაში განისაზღვროს პროფესიული სტუდენტის ანაზღაურების რაოდენობრივი მაჩვენებელი.

3. სასურველია კოლეჯის ადმინისტრაციამ დამატებით უზრუნველყოს პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და საწარმოს ინსტრუქტორების დატრენინგება სასწავლო პროგრამებთან, მისაღწევი სწავლის შედეგებთან, შეფასების წესებთან და სასწავლო გრაფიკთან დაკავშირებით.

4. სასურველია მარეგულირებელი დოკუმენტებიდან საგნობრივ პროგრამებთან დაკავშირებული ყველა ჩანაწერი იქნეს ამოღებული.

5. სასურველია საევაკუაციო გეგმა განაახლონ და შეათანხმონ შესაბამის სამსახურთან.

6. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (ბრძ. №35. 03.06.2019 წ) მე-10 მუხლში (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო (მოდულური) პროგრამის პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი) არ არის განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის დამატებითი შეფასების რაოდენობრივი მაჩვენებელი. აღნიშნულის გათვალისწინებით, კატალოგში მოცემული ჩანაწერი დამატებითი შეფასების შესახებ, შესაბამისობაში მოვიდეს აღნიშნულ დოკუმენტთან.

## VII. დაწესებულების მისია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

ა(ა)იპ კოლეჯ ’’განთიადის’’ ვებგვერდზე http://gantiadi.ge/ განთავსებულია „მისია“.

კოლეჯის მისიაა მოამზადოს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კუნკურენტუნარიანი, კვალიფიციური, მაღალი ზნეობრივი ფასეულობების მქონე კადრები, რითაც ხელს შეუწყობს დემოკრატიული საზოგადოების განვითარებას, ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას.

ა(ა)იპ კოლეჯი’’განთიადის’’ მისია შეესაბამება საქართველოში პროფესიული განათლების მიზნებს.

## სტანდარტების შეფასება

1. **საგანმანათლებლო პროგრამები**

**1.1** დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადს“ წარმოდგენილი აქვს პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირის - დირექტორის მიერ 2019 წლის 7 ოქტომბერს გამოცემული ბრანება №89 „პროფესიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

პროგრამების დამტკიცების შესახებ“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი 5 პროფესიული პროგრამა. აღნიშნული პროფესიული პროგრამებია:

- ელექტროობა;
- სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია;
- მებოსტნეობა;
- მეხილეობა;
- მეფუტკრეობა.

ცენტრის მიერ წინასწარ გამოგზავნილი დოკუმენტაციის გადამოწმებისას ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, დაშვების წინაპირობა, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, მოცულობა, მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტების მინიჭების პირობები, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის ინფორმაცია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამები და მოდულები ადაპტირებულია. ექსპერტთა მიერ შემოწმდა სასწავლო გეგმები, სადაც დაცულია პროგრამის შესაბამის მოდულებში განსაზღვრული წინაპრობები. პროფესიული სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით არ აღემატება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“ განსაზღვრულ პირობებს. პროგრამების განხორციელებისთვის დაწესებულებას აქვს არგუმენტირებული საფუძველი (მიზანშეწონილობის დასაბუთება).

დაწესებულების უფლებამოსილი პირის - დირექტორის მიერ გამოცემულია ბრძანება **№29 (30.05.2019 წ) “პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ზოგადი მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.** დაწესებულების მიერ პროფესიული პროგრამების მიხედვით კვოტები განისაზღვრა შემდეგნაირად:

- „ელექტროობა“ – 48 პროფესიული სტუდენტი.
- სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია - 24 პროფესიული სტუდენტი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მებოსტნეობა - 36 პროფესიული სტუდენტი.
- მეხილეობა - 36 პროფესიული სტუდენტი.
- მეფუტკრეობა - 12 პროფესიული სტუდენტი.

**აღსანიშნავია, რომ კოლეჯმა ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა დირექტორის ბრძანება №107 (18.11.2019 წ), ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2019 წლის 07 ოქტომბრის №89 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ცვლილება ეხება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „სოფლის მეურნეობის“ საფუძველზე შექმნილ პროგრამებს - „მებოსტნეობა“, „მეხილეობა“ და „მეფუტკრეობა“.** აღნიშნულ პროგრამებზე სწავლება განხორციელდება დუალური მიდგომით. კოლეჯმა ექსპერტებს ადგილზე განსახილველად წარმოუდგინა პროგრამები მასში გატარებული ცვლილებებით. ცვლილება შევიდა პროგრამების მე-7 პუნქტში „სტრუქტურა და მოდულები“. აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია ტესტირების დებულებისა (პროფესიული ტესტირების დებულების 153/ნ ბრძანება. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი) და ქართული ენის მოდულების არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის გავლის საკითხის ცვლილებამ. პროფესიული ტესტირების დებულების 153/ნ ბრძანების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „იმ პროფესიულ პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, სწავლის უფლების მოპოვება ხდება მხოლოდ დაწესებულების მიერ ჩატარებული შესაბამისი კონკურსის საფუძველზე“. ცვლილება ეხება დუალური მიდგომით განსახორციელებელ პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვას.

**1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -„ელექტროობა“.**

პროგრამა შედგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - „ელექტროობის“ საფუძველზე.
დამტკიცებულია ა(ა)იპ კოლეჯ ”განთიადის” დირექტორის 2019 წლის 7 ოქტომბრის №89 ბრძანებით.
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრობაში/Basic Vocational Qualification in Eleqtricity.

**სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი:** 0713.
**დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია -** საბაზო განათლება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ღოლაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თახაძე

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

**პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობაა**-48.

პროგრამა მოიცავს 4 ზოგად მოდულს მოცულობით 10 კრედიტი, 6 სავალდებულო პროფესიულ მოდულს მოცულობით - 28 კრედიტი, 4 საერთო პროფესიულ მოდულს მოცულობით - 14 კრედიტი.

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს **52 კრედიტი** (36 სასწავლო კვირა). არაქართულენივანი სტუდენტებისთვის - **67 კრედიტი** (46 სასწავლო კვირა). პროგრამის მოდულების 3.3. პუნქტში, სასწავლო რესურსების ჩამონათვალში მოდულის განმახორციელებელი მასწავლებლების მიერ გატარებულია ცვლილება, კერძოდ: მოდულებში გაწერილი ინგლისურენოვანი ლიტერატურა ჩანაცვლებულია ქართულენოვანი ლიტერატურით, რომელიც თემატურად ფარავს მოდულებში მოცემულ თემატიკას.

სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტის კვირეული დატვირთვა (საკონტაქტო) არ აღემატება 40 საათს.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში კოლეჯს არ აქვს მემორანდუმი გაფორმებული კომპანიებთან, ვინაიდან პროგრამა არ მოიცავს საწარმოო პრაქტიკას.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის **პროფესიული მოდულებში** („ელექტრული მონტაჟი“, „ჯანმრთელობა და უსაფრთხოება ელექტროობაში“, „ელექტრული ტექნოლოგია“, „ელექტრული მანქანების თვისებები და გამოყენება“, „მათემატიკა ელექტრიკოსებისთვის“, „საინჟინრო პროექტი“) 3.2 პუნქტში (საათების განაწილების სქემა) პროფესიული სტუდენტის შეფასებისთვის არ არის განსაზღვრული საათები. აღსანიშნავია, რომ შეფასება არ არის განსაზღვრული თავად ცენტრის მიერ დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტით/მოდულებით. კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „ელექტროობის“ პროგრამა კოლეჯის მიერ განხორციელდება პირველად. ამიტომ წინასწარ არ აქვთ განსაზღვრული შეფასების პირობები (სწავლის შედეგების მიხედვით) და დრო. სწავლების პერიოდში გადაწყვეტენ აღნიშნულ საკითხს. დაწესებულებამ ინტერვიურების დროს ასევე დააფიქსირა, რომ გეგმავენ ამ საკითხის შესახებ მიმართონ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ცენტრს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

## 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია“.

პროგრამა შედგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - „წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების“ საფუძველზე.
დამტკიცებულია ა(ა)იპ კოლეჯ ”განთიადის” 2019 წლის 7 ოქტომბრის №89 ბრძანებით.
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციაში/ Basic Vocational Qualification in Plumbing
**სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი:** 0732.
**დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია** - საბაზო განათლება.
**პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობაა**-24.
პროგრამა მოიცავს 16 კრედიტის მოცულობის 6 ზოგად მოდულს, 13 პროფესიულ მოდულს მოცულობით - 57 კრედიტი და 6 კრედიტის მოცულობის 2 საერთო პროფესიულ მოდულს.
ქართულენოვანი სტუდენტებისთვის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს - **79 კრედიტი**, ხანგრძლივობით **52 სასწავლო კვირა;** არაქართულენივანი სტუდენტებისთვის - **94 კრედიტი, ხანგრძლივობით 62 სასწავლო კვირა.**
სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

პროგრამის ფარგლებში კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციებია:

- [redacted] – (12 პროფესიული სტუდენტი). ხელშეკრულების გაფორმების თარიღი 03.10.2019 წ.
- ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის, ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახური“ - (12 პროფესიული სტუდენტი). ხელშეკრულების გაფორმების თარიღი 03.10.2019 წ.
- შპს „ვაშენოთ ერთად“ – (12 პროფესიული სტუდენტი).

დაწესებულების მიერ წინასწარ წარმოდგენილ ხელშეკრულებებში არ იყო მითითებული ხელშეკრულების ნომერი. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ ვიზიტის მეორე დღეს წარმოადგინა „ხელშეკრულებების ჟურნალი“, სადაც აღირიცხა თვითოეული ხელშეკრულება და მიენიჭა რეგისტრაციის ნომერი. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა კომპანიასთან - შპს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

„ვაშენოთ ერთად“ გაფორმებული ხელშეკრულება, სადაც მითითებული იყო ხელშეკრულების გაფორმების თარიღი.

კოლეჯსა და კომპანიებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებები იდენტურია და მასში განსაზღვრულია - ხელშეკრულების საგანი, მხარეთა ვალდებულები, დავების გადაჭრის გზები. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების ფარგლებში ობიექტი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის სწავლების სამუშაოების განხორციელებას ობიექტზე საგანმანათლებლო პროგრამის შემდეგი მოდულების ფარგლებში: გარე წყალმომარაგების ქსელის მოწყობა (სწავლის შედეგი 2), წყალმომარაგების ელემენტები (სწავლის შედეგი 2), გარე წყალარინება (სწავლის შედეგი 5), საწარმოო პრაქტიკა. კოლეჯი იღებს ვალდებულებას გამოყოს პრაქტიკის ხელმძღვანელი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის პროცესებს. კომპანია თავის მხრივ გამოყოფს ინსტრუქტორს. უსაფრთხოების ზომების მიღებაზე ვალდებულებას იღებს კომპანია.

**ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი განახორციელა კომპანიაში** - „გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის, ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახურში“, სადაც ინტერვიურება განხორციელდა კომპანიის წარმომადგენელთან. ხელშეკრულებაში მოცემულია ინფორმაცია პრაქტიკაზე მისაღები პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ. ინტერვიურებისას კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ერთჯერადად შეძლებენ **12 სტუდენტის** მიღებას, ვინაიდან ერთდროულად რამოდენიმე ობიექტზე ახორციელენენ სამუშაო პროცესებს და საჭიროების შემთხვევაში მოახდენენ პროფესიულ სტუდენტთა გადანაწილებას. აღნიშნულ კომპანიას რეგიონის მასშტაბით მუდმივად აქვს სამუშაოები და სწავლების/პრაქტიკის შეფერხების საშიშროება კომპანიის მხრიდან არ არსებობს. სტუდენტთა თვითოეულ ჯგუფს ზედამხედველობას გაუწევს ბრიგადის ხელმძღვანელი. მისი განმარტებით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის დაცვას. სამუშაოს დაწყების წინ, ტექნიკური განყოფილების სპეციალისტი თვითოეულ პროფესიულ სტუდენტს ჩაუტარებს ინსტრუქტაჟს უსაფრთხოების საკითხებზე, რასაც დაადასტურებენ ხელმოწერით სპეციალურ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

ჟურნალში. საწარმოო პრაქტიკაზე პროფესიული სტუდენტები აწარმოებენ დღიურს, სადაც დღის ბოლოს გააკეთებენ ჩანაწერს შესრულებული სამუშაოს შესახებ. აღნიშნულ დღიურს შეამოწმებს ინსტრუქტორი და ხელმოწერით დაადასტურებს პროფესიული სტუდენტის მიერ გაწერილ ინფორმაციას. პროფესიული სტუდენტის შეფასებას განახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიულ სტუდენტთა აღჭურვას ინდივიდუალური დამცავი საშუალებებით ახდენს საგანმანათლებლო დაწესებულება, ხოლო პრაქტიკის ობიექტებზე მათ ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს კომპანია. კოლეჯის წარმომადგენელი (პროფესიული განათლების მასწავლებელი) უნდა იმყოფებოდეს სამუშაო გარემოში პროფესიულ სტუდენტთან ერთად, როგორც შეთანხმების აუცილებელი პირობა.

3. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -„მეხილეობა“.**

პროგრამა შედგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - „სოფლის მეურნეობის“ საფუძველზე.
დამტკიცებულია ა(ა)იპ კოლეჯ ''განთიადის'' 2019 წლის 7 ოქტომბრის №89 ბრძანებით.
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში / Secondary Vocational Qualification in Agriculture კონცენტრაცია „მეხილეობა“:
**სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0811.**
**დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია -** სრული ზოგადი განათლება.
**პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობაა**-36.

პროგრამა მოიცავს ზოგად, პროფესიულ და არჩევით პროფესიულ მოდულებს: ზოგად მოდულებს 18 კრედიტის მოცულობით, სავალდებულო პროფესიულ მოდულებს 75 კრედიტის მოცულობით, ხოლო 15 კრედიტის მოცულობით არჩევით პროფესიულ მოდულებს.
ქართულენოვანი სტუდენტებისთვის საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს - **90 კრედიტი (85 კვირა);** არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია - **120 კრედიტი (106 კვირა).**
სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 38 საათს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

**დირექტორის №107 ბრძანების** მიხედვით პროგრამის მე-7 პუნქტში „სტრუქტურა და მოდულები" ცვლილებება ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: **„მოდულის, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით".**

კოლეჯს სურს პროგრამა განახორციელოს სწავლების **დუალური** მიდგომით.
აღნიშნული განსაზღვრავს სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების საერთო მოცულობის **50% -ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას.** კრედიტების საერთო რაოდენობაა - 90. აქედან - 41.4 კრედიტი მიიღწევა კოლეჯში, 48.6 კრედიტი - საწარმოში.

წარმოდგენილი სასწავლო პროგრამის მოდულები ადაპტირებულია. მითითებულია მოდულის თეორიული ნაწილის განხორციელების ადგილი/მისამართი. ასევე მითითებულია, რომ პრაქტიკული ნაწილი განხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში - „საწარმოში". კოლეჯის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი გამიჯნული თეორიული და პრაქტიკული სწავლის შედეგების შესახებ.

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა. კოლეჯის დირექტორის №83 ბრძანებით (06.09.2019 წ.) განსაზღვრულია „საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი" სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (დუალური სწავლების) შემთხვევისათვის. ბრძანებაში მოცემულია ინფორმაცია საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შექმნის შესახებ (მუხლი 3), საკვალიფიკაციო გამოცდის მომზადების შესახებ (მუხლი 4), საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების შესახებ (მუხლი 5), განმეორებითი გამოცდის ჩატარების შესახებ (მუხლი 6), სააპელაციო საბჭოს შექმნისა და მუშაობის წესის შესახებ (მუხლი 7). კოლეჯს შემუშავებული აქვს „საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის მიერ პროფესიული სტუდენტის შეფასების ფორმა", სადაც საგამოცდო საკითხების მიხედვით გაიწერება შეფასების კრიტერიუმები. აღნიშნულ ბრძანების მეორე მუხლში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

(საკვალიფიკაციო გამოცდა) მოცემული ჩანაწერი **„საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება წელიწადში ორჯერ“** ვრცელდება ყველა პროგრამისთვის, რომელიც ხორციელდება დუალური მიდგომით. ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს რეგულაცია ეხება მხოლოდ „მეფუტკრეობის“ პროგრამას, თუმცა დოკუმენტში ეს არ ჩანს.
**აღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია რეგულაციის დახვეწასთან დაკავშირებით ყველა იმ პროგრამისთვის, რომელიც ხორციელდება დუალური მიდგომით. ასევე, გათვალისწინებულ იქნეს ჩანაწერი პროფესიული სტუდენტის მიღების პერიოდისა და სეზონურობის შესახებ.**

პროგრამის ფარგლებში კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციებია:

- [redacted]6 პროფესიული სტუდენტი). ხელშეკრულების გაფორმების თარიღი 26.09.2018 წ.
- [redacted]6 პროფესიული სტუდენტი). ხელშეკრულების გაფორმების თარიღი 03.09.2019 წ.
- [redacted]6 პროფესიული სტუდენტი). ხელშეკრულების გაფორმების თარიღი 27.09.2019 წ.
- შპს „აგროქართლი“-(6 პროფესიული სტუდენტი). ხელშეკრულების გაფორმების თარიღი 02.10.2019 წ.
- შპს „აგროკომი“-(6 პროფესიული სტუდენტი). ხელშეკრულების გაფორმების თარიღი 02.10.2019 წ.

ხელშეკრულებებში მოცემული ინფორმაცია ყველა საწარმოს შემთხვევაში იდენტურია. ხელშეკრულების ფარგლებში საწარმოები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ პროფესიული სტუდენტის იმ მატერიალურ რესურსზე წვდომა/დაშვება, რომლის გამოყენებაც აუცილებელია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. ასევე, საწარმო ვალდებულებას იღებს სწავლის დაწყებამდე სტუდენტს გააცნოს შრომის პირობები, უსაფრთხოების ნორმები და უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო გარემო. საწარმო გამოყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის და სამუშაო გამოცდილების მქონე პირს (ინსტრუქტორს), რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

აღრიცხვას, მითითებების მიცემას, ზედამხედველობას, კოლეჯთან ინფორმაციის მიწოდებას. კომპანია ვალდებულებას იღებს სტუდენტს გადაუხადოს შრომის ანაზღაურება.

**კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია, რათა სამმხრივ ხელშეკრულებაში განისაზღვროს პროფესიული სტუდენტის ანაზღაურების რაოდენობრივი მაჩვენებელი.**

**ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი განახორციელა საწარმოებში,** სადაც მოხდება პროფესიულ სტუდენტთა გაყვანა პროგრამით გათვალისწინებული დუალური მიდგომის ფარგლებში.

- **შპს „აგროქართლი“.**

ინტერვიურება განხორციელდა საწარმოს ხელმძღვანელთან. ხელშეკრულებაში მოცემულია ინფორმაცია, თუ რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღება შეუძლია საწარმოს. ინტერვიურებისას საწარმოს ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ შეძლებენ **6 პროფესიული სტუდენტის** მიღებას, რომელთაც დაენიშნება ანაზღურება დაახლოებით 150 ლარის ოდენობით. საწარმოს საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის შემდეგი მიმართულებები - მეხილეობა და მებოსტნეობა, რომელიც მოიცავს ხილისა და ბოსტნეულის წარმოების სრულ ციკლს (ბაღის გაშენებიდან დაწყებული - ხილის დახარისხება-შენახვით დამთავრებული). საწარმოს ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სრულად შეასრულებენ იმ ვალდებულებებს, რომელიც დაეკისრათ ხელშეკრულების ფარგლებში, მათ შორის პროფესიული სტუდენტის უსაფრთხოების დაცვასთან და პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებით.

- **შპს „აგროკომი“** წარმოადგენენ დიდ კომპანიას, რომლის საქმიანობა მოიცავს ხილისა წარმოების სრულ ციკლს (ბაღის გაშენებიდან დაწყებული - ხილის დახარისხება - შენახვით დამთავრებული). საწარმო ახორციელებს აგროქიმიკატებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების რეალიზაციას და კონსულტირებას. საწარმო გეგმავს საქმიანობის გაფართოებას და ახალი ფილიალის გახსნას. საწარმოს ინსტრუქტორმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ მზადაა ჩაერთოს სასწავლო პროცესში. ინტერვიურებიდან გაირკვა, რომ ისინი არიან კვალიფიციური სპეციალისტები მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილებით. საწარმოს წარმომადგენლები თვლიან, რომ რეგიონში შეინიშნება კვალიფიციური კადრების სიმცირე. ისინი მზად არიან ჩაერთონ სასწავლო პროცესში და ხელი შეუწყონ კვალიფიციური სპეციალისტბის აღზრდას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

ინტერვიურებისას კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შეძლებენ **6 სტუდენტის** მიღებას, რომელთაც დაენიშნება ანაზღაურება 120 – 150 ლარის ოდენობით.

ხეხილოვანი კულტურების წარმოებისათვის ორივე კომპანიას გააჩნია საჭირო მატერიალური რესურსი (სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარები, იარაღები, აღჭურვილობა). საწარმო უზრუნველყოფს პროცესს საჭირო სახარჯი მასალით. აღსანიშნავია, რომ კოლეჯი არ უზრუნველყოფს სტუდენტის საწარმოში ტრანსპორტირებას. ტრანსპორტირების ხარჯი გათვალისწინებული იქნება სახელფასო რაოდენობაში.

**კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია, რომ სასურველია** საწარმოს წარმომადგენელს/ინსტრუქტორს ჰქონდეს უფრო მეტი ინფორმაცია სასწავლო პროგრამასთან, მისაღწევ სწავლის შედეგებთან და სასწავლო გრაფიკთან დაკავშირებით.

ა(ა)იპ კოლეჯ "განთიადს" გაწერილი აქვს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ზოგადი მეთოდოლოგია - **ა(ა)იპ კოლეჯ განთიადის დირექტორის ბრძანება №29 30 მაისი 2019 წელი**. რომლის მიხედვითაც - ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება C სასწავლო გარემოში სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამოდენიმე საწარმოს შემთხვევაში - ადგილების ჯამი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დუალური პროგრამა "მეხილეობის" ფარგლებში, კოლეჯს აქვს გაფორმებული ხელშეკრულება ხუთ საწარმოსთან, თითოეულს შეუძლია ხელშეკრულების საფუძველზე თვითოეულ მიღებაზე ექვსი პროფესიული სტუდენტის სწავლების უზრუნველყოფა. ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კომპანიებთან შეთანხმების საფუძველზე აპირებენ საგაზაფხულო მიღებაზე 12 ადგილის გამოცხადებას, საშემოდგომო მიღებაზე 12 ადგილის გამოცხადებას და მომდევნო წლის გაზაფხულზე 12 ადგილის გამოცხადებას. აქედან გამომდინარე კოლეჯს შეუძლია პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვროს **36 ადგილი.**

**4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

პროგრამა შედგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - „სოფლის მეურნეობის“ საფუძველზე.
დამტკიცებულია ა(ა)იპ კოლეჯ ”განთიადის” 2019 წლის 7 ოქტომბრის №89 ბრძანებით.

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში / Basic Vocational Qualification in Beekeeping
**სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი:** 0811.
**დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია -** საბაზო განათლება.
**პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობაა**-12. .
პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, რომელთაგან 18 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, ხოლო 42 კრედიტი პროფესიული მოდულები.
ქართულენოვანი სტუდენტებისთვის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს - 60 კრედიტი (65 კვირა). არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია - 75 კრედიტი (75 კვირა).

**დირექტორის №107 ბრძანების** მიხედვით პროგრამის მე-7 პუნქტში „სტრუქტურა და მოდულები“ ცვლილებება ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: **„მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით“.**

კოლეჯს სურს პროგრამა განახორციელოს სწავლების **დუალური** მიდგომით.
აღნიშნული განსაზღვრავს სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების საერთო მოცულობის **50% -ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას.** პროფესიული სავალდებულო მოდულების რაოდენობაა 35 კრედიტი. აქედან 17 კრედიტი მიიღწევა კოლეჯში, 25 კრედიტი - საწარმოში.

წარმოდგენილი სასწავლო პროგრამის მოდულები ადაპტირებულია. მოდულების დაგეგმვისას გათვალისწინებულია დაშვების წინაპირობები. მითითებულია მოდულის თეორიული ნაწილის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

განხორციელების ადგილი/მისამართი, ასევე ინფორმაცია პრაქტიკული ნაწილს რეალურ სამუშაო გარემოში გავლასთან დაკავშირებით. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი გამიჯნული თეორიული და პრაქტიკული სწავლის შედეგების შესახებ.

სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 24 საათს.

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა. კოლეჯის დირექტორის №83 ბრძანებით (06.09.2019 წ.) განსაზღვრულია „საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი" სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (დუალური სწავლების) შემთხვევისათვის. ბრძანებაში მოცემულია ინფორმაცია საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შექმნის შესახებ (მუხლი 3), საკვალიფიკაციო გამოცდის მომზადების შესახებ (მუხლი 4), საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების შესახებ (მუხლი 5), განმეორებითი გამოცდის ჩატარების შესახებ (მუხლი 6), სააპელაციო საბჭოს შექმნისა და მუშაობის წესის შესახებ (მუხლი 7). კოლეჯს შემუშავებული აქვს „საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის მიერ პროფესიული სტუდენტის შეფასების ფორმა", სადაც საგამოცდო საკითხების მიხედვით გაიწერება შეფასების კრიტერიუმები. აღნიშნულ ბრძანების მეორე მუხლში (საკვალიფიკაციო გამოცდა) მოცემული ჩანაწერი **„საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება წელიწადში ორჯერ"** ვრცელდება მხოლოდ „მეფუტკრეობის" პროგრამაზე, თუმცა დოკუმენტში ეს არ ჩანს. აქედან გამომდინარე მოცემული რეგულაცია ვრცელდება ყველა პროგრამაზე, რომელიც ხორციელდება დუალური მიდგომით. კოლეჯის წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ მეფუტკრეობა არის სეზონური სამუშაო, ზამთარში ფუტკრები იძინებენ. აქედან გამომდინარე შეფასება ტარდება ორ ეტაპად. საკვალიფიკაციო <u>გამოცდის ჩატარების დრო</u> წინასწარ არ არის განსაზღვრული. შეფასება ტარდება სწავლის დასრულებამდე, სანამ ფუტკარი აქტიურია. <u>შემოდგომის მიღების სტუდენტებისთვის საკვალიფიკაციო გამოცდის პირველი ეტაპი ჩატარდება დეკემბრის დასაწყისში. დეკემბრის ბოლოს კი ჩატარდება საკვალიფიკაციო გამოცდის მეორე ეტაპი, სადაც პროფესიული სტუდენტი დაადასტურებს დარჩენილ შედეგებს.</u> აღნიშნული არ ვრცელდება „მეფუტკრეობის" პროგრამის <u>საგაზაფხულო მიღების</u> პროფესიულ სტუდენტებზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

მათ პროგრამის დასრულება მოუწევთ მომდევნო სასწავლო წლის სექტემბრის ბოლოს, როდესაც ფუტკარი აქტიურია.

პროგრამის ფარგლებში კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციებია:

- [redacted] - (6 პროფესიული სტუდენტი). ხელშეკრულების გაფორმების თარიღი 03.08.2018 წ.
- [redacted] - (6 პროფესიული სტუდენტი). ხელშეკრულების გაფორმების თარიღი 03.08.2018 წ.

ხელშეკრულებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მანამ, სანამ ერთ ერთი მხარე არ მოითხოვს მის შეწყვეტას. ხელშეკრულების საფუძველზე ფიზიკური პირი ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს სასწავლო პროცესი მატერიალური და უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის იმ მატერიალურ რესურსზე წვდომა/დაშვება, რომლის გამოყენებაც აუცილებელია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. ფიზიკური პირი ვალდებულებას იღებს სწავლის დაწყებამდე სტუდენტს გააცნოს შრომის პირობები, უსაფრთხოების ნორმები და უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო გარემო. ასევე, ის ვალდებულია გამოყოს შესაბამისი კვალიფიკაციის და სამუშაო გამოცდილების მქონე პირი (ინსტრუქტორი), რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა აღრიცხვას, მითითებების მიცემას, ზედამხედველობას, კოლეჯთან ინფორმაციის მიწოდებას. ხელშეკრულების საფუძველზე ფ/პ ვალდებულია სტუდენტს გადაუხადოს შრომის ანაზღაურება ნატურით (სკა, ფუტკარი).

**ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი განახორციელა გორის მუნიციპალიტეტის** სოფელ ტინისხილში [redacted], სადაც მოხდება პროფესიულ სტუდენტთა გაყვანა პროგრამით გათვალისწინებული დუალური მიდგომის ფარგლებში. ექსპერტებმა ადგილზე ნახეს 85-მდე სკა. ორგანიზაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შეუძლია 6 პროფესიული სტუდენტის მიღება. ის მზად არის ჩაერთოს სასწავლო პროცესში და ზუსტად შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები შრომის უსაფრთხოებასა და პროფესიული სტუდენტების შეფასების თვალსაზრისით. ასევე ის მზად არის პროფესიული სტუდენტს გამოუმუშაოს პროგრამით გათვალისწინეული პრაქტიკული უნარები. საწარმოს ხელმძღვანელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ვინაიდან პროდუქტის გაყიდვა ჭირს, პროფესიული სტუდენტის ანაზღურება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

განხორციელდება ნატურით. შემოწმებისას დადგინდა, რომ სამუშაო გარემო უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალური რესურსით.

5. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მებოსტნეობა“.**

პროგრამა შედგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - „სოფლის მეურნეობის“ საფუძველზე.
დამტკიცებულია ა(ა)იპ კოლეჯ ''განთიადის'' 2019 წლის 7 ოქტომბრის №89 ბრძანებით.

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მებოსტნეობაში/Basic Vocational Qualification in Horticulture
**სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი:** 0811
**დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია** - საბაზო განათლება.
**პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობაა**- 36.

პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, რომელთაგან 18 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, ხოლო 42 კრედიტი პროფესიული მოდულები.
ქართულენოვანი სტუდენტებისთვის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 60 კრედიტი (69 კვირა). არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია - 75 კრედიტი (79 კვირა)

**დირექტორის №107 ბრძანების** მიხედვით პროგრამის მე-7 პუნქტში „სტრუქტურა და მოდულები“ ცვლილებება ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: **„მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით“.**

კოლეჯს სურს პროგრამა განახორციელოს სწავლების **დუალური** მიდგომით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ღ...

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თახა...

*(ქალაქი, წელი)*

აღნიშნული განსაზღვრავს სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების საერთო მოცულობის **50% -ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას.** კრედიტების საერთო რაოდენობაა - 60. აქედან -29.3 კრედიტი მიიღწევა კოლეჯში, 30.7 კრედიტი - საწარმოში.

წარმოდგენილი სასწავლო პროგრამის მოდულები ადაპტირებულია. მოდულების დაგეგმვისას გათვალისწინებულია დაშვების წინაპირობები. მითითებულია მოდულის თეორიული ნაწილის განხორციელების ადგილი/მისამართი, ასევე ინფორმაცია პრაქტიკული ნაწილს რეალურ სამუშაო გარემოში გავლასთან დაკავშირებით. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი გამიჯნული თეორიული და პრაქტიკული სწავლის შედეგების შესახებ.
სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 38 საათს.

პროგრამის ფარგლებში კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციებია:

- [redacted]6 პროფესიული სტუდენტი). ხელშეკრულების გაფორმების თარიღი 27.09.2019 წ.
- შპს „აგროქართლი“-(6 პროფესიული სტუდენტი). ხელშეკრულების გაფორმების თარიღი 02.10.2019 წ.
- შპს „აგროკომი“-(6 პროფესიული სტუდენტი). ხელშეკრულების გაფორმების თარიღი 02.10.2019 წ.

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა შეხვედრა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. კოლეჯის დირექტორმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ვინაიდან რეგიონისთვის სოფლის მეურნეობა პრიორიტეტია, სურთ ამ მიმართულებით პროფესიების გაძლიერება დუალური მიდგომით. მისი აზრით, ფერმერები მზად არიან თანამშრომლობისთვის. კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ

საშემოდგომო გამოცხადებაზე 91 გამოცხადებულ ადგილზე ჩაირიცხა - 89 აპლიკანტი (მიმდინარე ეტაპზე ბაზაში ჯერ არ არიან დარეგისტრირებულნი). კოლეჯს სურს ასევე სამშენებლო მიმართულებით განვითარება და სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტიდან იჯარით აიღო სახელოსნო. კოლეჯს სურს მომავალში დაიმატოს პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები.

პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ უმრავლესობას აქვთ მოდულურ პროგრამებზე სწავლების გამოცდილება. „ელექტროობის" პროგრამის განმახორციელებელმა პროფესიული განათლების მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ჩართულნი იყვნენ მოდულების მოდიფიცირებაში და „სასწავლო რესურსების" 3.3. პუნქტში მოცემული ინგლისურენოვანი ლიტერატურა ჩაანაცვლეს ქართულენოვანი ლიტერატურით, რომლის თემატიკები ფარავს მოდულებში 3.1. პუნქტში გაწერილ თემებს. მათ ასევე მონაწილეობა მიიღეს პროგრამის ფარგლებში მოთხოვნილი მატერიალური რესურსების განსაზღვრასა და შეძენაში. კოლეჯს ყავს პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებსაც არ აქვთ მოდულურ პროგრამებზე სწავლების გამოცდილება. ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ ჩაატარებენ შეხვედრებს და ტრენინგებს/ვორკშოპებს იმ პირებთან, რომლებიც საჭიროებენ შეფასების და სწავლების პირობების გაცნობას. ექსპერტთა შეკითხვაზე, თუ რა საჭიროებები აქვთ მათ, აღნიშნეს, რომ სასურველია მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ეროვნულმა ცენტრმა დამატებით ჩაატარონ ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით (პროფესიულ სტუდენტთა შეფასება, დარგობრივი, **განსაკუთრებით პრაქტიკული ნაწილი).** ასევე, კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასურველია გამოიყოს გარკვეული ფინანსური ანაზღაურება პარტნიორი კომპანიების ინსტრუქტორებისათვის. ეს იქნება კარგი მოტივაცია შემდგომი ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.

ექსპერტებმა რეკომედაცია მისცეს კოლეჯს, რომ პერიოდულად ჩაატარონ ტრენინგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ინსტრუქტორებთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

- ა(ა)იპ კოლეჯ ”განთიადის” დირექტორის 2016 წლის 7 ოქტომბრის №89 ბრძანება;
- ა(ა)იპ კოლეჯ ”განთიადის” დირექტორის 2019 წლის 18 ნოემბრის №107 ბრძანება;
- ა(ა)იპ კოლეჯ ”განთიადის” დირექტორის 2019 წლის 06 სექტემბრის №83 ბრძანება;
- ა(ა)იპ კოლეჯ ”განთიადის” დირექტორის 2018 წლის 10 სექტემბრის №93 ბრძანება;
- ა(ა)იპ კოლეჯ ”განთიადის” დირექტორის 2019 წლის 30 მაისის №29 ბრძანება;
- სასწავლო გეგმები;
- ინტერვიურება კოლეჯის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.2** დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების ვებგვერდზე http://gantiadi.ge/ განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი. კატალოგის მიხედვით ამჟამად სწავლა მიმდინარეობს შემდეგ პროგრამებზე:

- თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი;
- სამღებრო სამუშაოების შესრულება;
- მეფუტკრე.

პროგრამები მოიცავს ქვესტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო ინფორმაციას მიზნების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის, სტრუქტურისა და მოდულების, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობების, პროგრამის მოცულობისა და ხანგრძლივობის, სწავლის შედეგების შესახებ. ასევე, ჩარჩო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტის სახელწოდების შესახებ, რომლის საფუძველზეც შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამა.

კატალოგში დაანონსებულია ინფორმაცია 2019 წლის საშემოდგომო მიღებისთვის გამოსაცხადებელი პროგრამების შესახებ. ეს პროგრამებია:

- სამკერვალო წარმოება;
- თმის მომსახურება;
- თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი;
- სამღებრო სამუშაოების შესრულება;
- იატაკისა და ფილის სამუშაოები.

კატალოგში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი შეფასებასთან დაკავშირებით - „განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება". სასურველია დაკონკრეტდეს რამდენჯერ აქვს პროფესიულ სტუდენტს დამატებით შეფასებაზე გასვლის უფლება.

კატალოგში მოცემულია ინფორმაცია კოლეჯის მიერ განხორციელებული სხვადასხვა აქტივობებისა და ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ, როგორიცაა - საქველმოქმედო აქცია, დედაენის დღე, დედამიწის დღე. ასევე მოცემულია ინფორმაცია საჯარო ლექციების, გამოფენებისა და ღია გაკვეთილების, სარეკლამო კამპანიის ჩატარების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
- კოლეჯის ვებგვერდი http://gantiadi.ge/.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

**1.3** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. თითოეული პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, თუ რა ეცოდინება, რისი გაკეთება შეეძლება და რა ფასეულობებს შეიძენს სტუდენტი პროგრამის დასრულების შემდეგ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტები -„ელექტროობა“, „წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები“, „სოფლის მეურნეობა“.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.4** დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

ა(ა)იპ კოლეჯ „განთადის“ დირექტორის **2019 წლის 03 ივნისის №35 ბრძანებით** გამოცემულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი - „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა“. ასევე განსაზღვრულია სტუდენტთა მობილობის, მიღწევების შეფასების ერთიანი პროცედურა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

დოკუმენტის მე-10 მუხლში გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო (მოდულურ) პროგრამებზე პროფესიული სტუდენტისათვის მიღწევის შეფასების წესი, სადაც მე-5 პუნქტში გაწერილია სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევის პირობა. მოცემულ მუხლში არ არის გაწერილი პროფესიული სტუდენტის დამატებით შეფასებაზე გასვლის რაოდენობრივი მაჩვენებელი. **კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია, პროფესიული სტუდენტის დამატებით შეფასებაზე გასვლის რაოდენობრივი მაჩვენებელის მოცემულ დოკუმენტში განსაზღვრასთან დაკავშირებით.**

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დოკუმენტის მე-9 მუხლში გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო (საგნობრივ) პროგრამებზე პროფესიული სტუდენტისათვის მიღწევის შეფასების წესი. **კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია მარეგულირებელი დოკუმენტიდან საგნობრივ პროგრამებთან დაკავშირებული ყველა ჩანაწერის ამოღების შესახებ.**

კოლეჯს არ ყავთ სტატუს შეჩერებული და სტატუს შეწყვეტილი სტუდენტი. ამჟამად კოლეჯის მიერ რეესტრში აღირიცხება - 25 აქტიური პროფესიული სტუდენტი. აღსანიშნავია, რომ 7 პროფესიულმა სტუდენტმა სწავლა დაასრულა, თუმცა კვალიფიკაცია ჯერ არ აქვთ მინიჭებული და შესაბამისაც აღირიცხებიან აქტიურ სტუდენტებად. საშემოდგომო მიღებისას ჩარიცხული 89 პროფესიული სტუდენტი ჯერ არ არის რეგისტრირებული რეესტრში. კოლეჯის მიერ დაცულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების **მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბერის №152/ნ** ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებით განსაზღვრული ვადები.

**ექსპერტთა შეფასებით პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა, მობილობა, მიღებული განათლების აღიარება ხდება დაწესებულების რეგულაციისა და სრული კანონმდებლობის დაცვით.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ კოლეჯ „განთადის“ დირექტორის 2019 წლის 03 ივნისის №35 ბრძანება;
- ემისის ბაზა;
- პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები.

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.5.** დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯის ვებგვერდზე http://gantiadi.ge/documents/2019-06-04_35.pdf განთავსებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც მე-6 მუხლის მე-9 პუნქტში გაწერილია პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. კოლეჯი ვალდებულებას იღებს პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით უზრუნველყოს მობილობა ამავე კოლეჯის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე განახორციელოს გადაყვანა სხვა ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ პრაქტიკაში შიდა და გარე მობილობა არ განხორციელებულა.

ვიზიტისას გადამოწმდა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს იმ პროგრამების სწავლებას, რომლის დამატებასაც გეგმავს კოლეჯი „განთიადი“.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

კოლეჯს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებული აქვს შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან:

- სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (პროგრამა-მებოსტნეობა);
- სსიპ-ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა-აგარის საჯარო სკოლის პროფესიული სასწავლებელი (პროგრამები-ელექტროობა; სანტექნიკის სისტემების ექსპუატაცია);
- სსიპ-ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი (პროგრამა - მეფუტკრეობა);
- სსიპ-კოლეჯი „ოპიზარი“ (პროგრამა-მეფუტკრეობა);
- სსიპ-კოლეჯი „ლაკადა“ (პროგრამა-ელექტროობა);
- ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“ და სხვ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის ვებგვერდი http://gantiadi.ge/documents/2019-06-04_35.pdf
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიურება კოლეჯის ადმინისტრაციასთან.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.6** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯის ვებგვერდზე http://gantiadi.ge/ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიმართულებით განთავსებულია შემდეგი დოკუმენტები:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების ფორმა;
2. მეცადინეობების შეფასების ფორმა;

კოლეჯმა წარმოადგინა **17.07.2019 დირექტორის ბრძანება №50-ის** საფუძველზე შექმნილი კოლეჯის შიდა მხარდაჭერისა და მონიტორინგის ჯგუფის სია 8 პირის შემადგენლობით. განსაზღვრულია შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიზნები, ფუნქციები. შემუშავებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები (ბრძ. №26. 27.05.2019 წ.). მოდულური პროგრამების განსახორციელებლად შემუშავებულია კალენდარული გეგმის ფორმა, შეფასების ინსტრუმენტების ფორმა, მოდულების შედეგების დამადასტურებელი თავსებადობის უწყისის ფორმა. ხარისხის მართვის მენეჯერმა წარმოადგინა 2019-2020 წლის ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმა.

დირექტორის №336 (03.06.2019 წ) ბრძანებაში - „ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის" თანამშრომელთა ფუნქციონალური უფლება-მოვალეობების განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" გაწერილია ხარისხის მართვის მენეჯერის უფლება-მოვალეობები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას ახდენენ - პროფესიული განათლების მასწავლებლები, სტუდენტები, მშობლები, დამსაქმებლები. კოლეჯის ვებგვერდზე ასევე განთავსებულია SWOT ანალიზი, სადაც გაწერილია ორგანიზაციის ძლიერი მხარე, ორგანიზაციის სუსტი მხარე, შესაძლებლობები და რისკები.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულს - ხარისხის მართვის მენეჯერი.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მიზნებისათვის კოლეჯი ოპერირებს შიდა და გარე შეფასების ინსტრუმენტებით და იყენებს ციკლურ პროცესს, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება (PDCA ციკლი).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

ინტერვიურებისას ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ ესწრებიან მეცადინეობებს და ახდენენ უკუგებას. მან წარმოადგინა დასრულებულ პროგრამებზე ჩატარებული მეცადინეობის შეფასების ფორმები და სტუდენტების მიერ შეფასებული „პროგრამის შეფასების ფორმა“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის ვებგვერდი http://gantiadi.ge/
- ინტერვიურება ხარისხის მართვის მენეჯერთან.
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 3 ივნისის ბრძანება №336.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2. მატერიალური რესურსი**

**2.1** დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ა(ა)იპ კოლეჯი „განთადი“ მდებარეობს ქ. გორში, ზესიკის №2.

კოლეჯმა წარმოადგინა იჯარის ხელშეკრულება №1, რომელიც დადებულია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან (ს.კ. 218076542). ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული ქ. გორში (ზესიკის №2) მდებარე (საკადასტრო კოდი №66.45.27.059) უძრავი ქონების მიწის, ამ მიწაზე მდებარე შენობა №1-ის მეორე სართულიდან - 1040 კვ.მ. ფართის და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოძრავ ქონების იჯარით გადაცემა მოიჯარეზე-ა(ა)იპ კოლეჯზე „განთადი“. იჯარის ვადა არის 27.08.2019 წ-დან 27.08.2025 წ-მდე.

საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს მთავრობის განკარგულება №1826 (16.08.2019), კოლეჯისთვის სახელმწიფო ქონების სასყიდლით, აუქციონის გარეშე,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დროებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (6 წლის ვადით).

ცხრილში მოცემულია დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა:

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| 1 | ქ. გორი, ბესიკის №2. | 1040 |
| 2 | ქ. გორი, ჭონქაძის 3. (სახელოსნო. საკადასტრო კოდი: 66.45.27.060) | 315.25 |

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- იჯარის ხელშეკრულება;
- ფაქტობრივი გარემოება;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯის მიერ თვითოეული პროგრამისთვის წარმოდგენილია კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ზოგადი მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია თვითოეული პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო გარემოს შესახებ ინფორმაცია. აღნიშნული დოკუმენტის შექმნის საფუძველია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

კოლეჯს სასწავლო გარემოდ გამოყოფილი აქვს სამი გარემო - A, B და C. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ გადამოწმდა A, B და C გარემო პროგრამების მიხედვით. ასევე შემოწმდა შესყიდვისა და ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია.

კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ზოგადი მეთოდოლოგიის მიხედვით, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:
ა) „C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან C სასწავლო გარემოს ფართი ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში - ადგილების ჯამი (დუალური სწავლების შემთხვევაში)".
ბ) „პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რესურსი.
(ინსტრუქტორს უნდა გააჩნდეს შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და სტუდენტის შეფასების კომპეტენცია. პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება, რომ ის გარდა საკონტაქტო საათებისა მონაწილეობს სხვა სამუშაოების შესრულებაშიც (მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, პროფესიული განვითარება, ასევე მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში და ზოგჯერ - გარკვეული ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულება. შესაძლებელია ის იმავდროულად სხვა პროგრამებზეც ასწავლიდეს. ამიტომაც მისი საკონტაქტო საათების დატვირთვა ერთი პროგრამის მიზნებისათვის ვერ იქნება კვირაში 40 საათი)".

**პროგრამა „ელექტროობა".**
ელექტრიკოსების კლასი - A, C გარემო. გარემოს ფართი - 36 კვ.მ. ოთახში არის 12 პროფესიულ სტუდენტზე განკუთვნილი მერხები და სკამები. მისამართი - ქ. გორი, ბესიკის №2.
პროფესიულ სტუდენტთა **ზღვრული რაოდენობა შეადგენს 48-ს.**
კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ კლასში განხორციელდება მხოლოდ სავალდებულო პროფესიული მოდულების სწავლება. ზოგადი მოდულების სწავლა განხორციელდება სხვა კლასებში. აქედან გამომდინარე სასწავლო გეგმა შედგენილია ისე, რომ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

ორი ჯგუფის პარალელურ რეჟიმში სწავლებისას არ არსებობს სწავლების პროცესისთვის ხელის შეშლის რისკი. ექსპერტთა მიერ სასწავლო გეგმის შემოწმებისას აღნიშნული მოსაზრება დადასტურდა. ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ შესაძლოა დაწესებულებამ სწავლება განახორციელოს ორ ცვლაში.

**პროგრამა „სანტექნიკური სისტემების ექსპლუატაცია“.**
სანტექნიკოსების კლასი №29. C გარემოს ფართი - 42 კვ.მ. A გარემო - ოთახი №26. ოთახში არის 12 პროფესიულ სტუდენტზე განკუთვნილი მერხები და სკამები. მისამართი - ქ. გორი, ზესიკის №2.
პროფესიულ სტუდენტთა **ზღვრული რაოდენობა შეადგენს 24-ს.**
კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესაძლოა ორ ცვლაში განახორციელონ სწავლება. ერთ მიღებაზე აპირებენ ორი ჯგუფის მიღებას -24 პროფესიული სტუდენტი.

**პროგრამა „მეხილეობა“.**
აღნიშნულ პროგრამაზე სწავლება ხორციელდება დუალური მიდგომით. ამიტომ C გარემოს წარმოადგენს საწარმო. A გარემოში არის 20 პროფესიულ სტუდენტზე განკუთვნილი მერხები და სკამები. მისამართი - ქ. გორი, ზესიკის №2.
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა **ზღვრული რაოდენობა შეადგენს 36-ს.**
ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კომპანიებთან შეთანხმების საფუძველზე აპირებენ საგაზაფხულო მიღებაზე 12 ადგილის გამოცხადებას, საშემოდგომო მიღებაზე 12 ადგილის გამოცხადებას და მომდევნო წლის გაზაფხულზე 12 ადგილის გამოცხადებას. ხელშეკრულების თანახმად, კომპანიები (სულ 5 კომპანია) ვალდებულებას იღებენ თვითოეულ ჯერზე მიიღონ 6 პროფესიული სტუდენტი. აქედან გამომდინარე კოლეჯს შეუძლია პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვროს **36 ადგილი.**

**პროგრამა „მეფუტკრეობა“.**
აღნიშნულ პროგრამაზე სწავლება ხორციელდება დუალური მისდგომით. ამიტომ C გარემოს გარემოს წარმოადგენს საწარმო. A გარემოში არის 12 პროფესიულ სტუდენტზე განკუთვნილი მერხები და სკამები. მისამართი - ქ. გორი, ზესიკის №2.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა **ზღვრული რაოდენობა შეადგენს - 12-ს.**

**პროგრამა „მებოსტნეობა“.**

აღნიშნულ პროგრამაზე სწავლება ხორციელდება დუალური მისდგომით. ამიტომ C გარემოს გარემოს წარმოადგენს საწარმო. A გარემოში არის 16 პროფესიულ სტუდენტზე განკუთვნილი მერხები და სკამები. მისამართი - ქ. გორი, ზესიკის №2.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა **ზღვრული რაოდენობა შეადგენს - 36-ს.**

ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კომპანიებთან შეთანხმების საფუძველზე აპირებენ საგაზაფხულო მიღებაზე 12 ადგილის გამოცხადებას, საშემოდგომო მიღებაზე 12 ადგილის გამოცხადებას და მომდევნო წლის გაზაფხულზე 12 ადგილის გამოცხადებას. ხელშეკრულების თანახმად, კომპანიები (სულ 3 კომპანია) ვალდებულებას იღებენ თვითოეულ ჯერზე მიიღონ 6 პროფესიული სტუდენტი. აქედან გამომდინარე კოლეჯს შეუძლია პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვროს **36 ადგილი.**

**კოლეჯს აქვს სამი B გარემო - კომპიტერული კლასი:**

**კომპიუტერული კლასი 1 - №20ა**. განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისთვის. აღჭურვილია საჭირო რაოდენობის კომპიუტერებით, მერხებითა და სკამებით. ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განკუთვნილია მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პროექტორი, ქსეროქსი.

**კომპიუტერული კლასი 2 - №22**. განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისთვის. აღჭურვილია საჭირო რაოდენობის კომპიუტერებით, მერხებითა და სკამებით. ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განკუთვნილია მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პროექტორი, ქსეროქსი.

**კომპიუტერული კლასი 3 - №33**. განკუთვნილია 16 პროფესიული სტუდენტისთვის. აღჭურვილია საჭირო რაოდენობის კომპიუტერებით, მერხებითა და სკამებით. ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განკუთვნილია მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პროექტორი, ქსეროქსი.

საწარმოებში ვიზიტისას დადგინდა, რომ აქვთ სწავლების განხორციელებისთვის საჭირო **მატერიალური რესურსი** (სასოფლო-სამეურნეო მანქანა დანადგარები, იარაღები და აღჭურვილობა). საწარმოს წარმომადგენლებთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ისინი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

<u>უზრუნველყოფენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცვას და თვითოეულ მიღებაზე ხელშეკრულებით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის მიღებას.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტებით;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგიით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით პრაქტიკის ობიექტებთან;
- დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან გასაუბრებით;
- ფაქტობრივი გარემოებით.

შეფასება

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.2** დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

სასწავლო კორპუსებში, სადაც დაწესებულება აპირებს განახორციელოს წარმოდგენილ პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამებზე სწავლება, ექსპერტთა მიერ შემოწმდება საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

- კომუნალური ხარჯებისთვის  გადახდილი ქვითრებით;
- შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.3** დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის დებულება (ბრძ. №31. 31.05.2019 წ), ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (ბრძ. №32. 31.05.2019 წ) და კატალოგი. სამკითხველო დარბაზში განთავსებულია კომპიუტერები (3 ცალი) და უზრუნველყოფილია ინტერნეტის მუდმივი მიწოდება, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; **ბიბლიოთეკით შეუზღუდავად  შეუძლიათ ისარგებლონ კოლეჯის პროფესიულმა სტუდენტებმა;**

ბიბლიოთეკის დებულებაში გაწერილია ბიბლიოთეკის ფუნქცია - მოვალეობები, ბიბლიოთეკის უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, ბიბლიოთეკის პერსონალი და სხვ. განსაზღვრულია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები 10:00 სთ-დან 19:00 სთ-მდე.

ექსპერტთა მიერ შერჩევით გადამოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი და ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების მოდულებში მითითებულ ლიტერატურას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის ვებგვერდი http://gantiadi.ge/;
- ფაქტობრივი გარემოება;
- ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნები;
- ბიბლიოთეკის  ბეჭდური და ელექტრონული კატალოგები;
- წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.4** საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯმა წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის კომპიუტერული ტექნიკის გადანაწილების დოკუმენტები, ასევე გასავლის ზედდებულები, სადაც ჩანს კომპიუტერული ტექნიკის რაოდენობები და მათი გადანაწილება პროგრამების განმახორციელებელი დეპარტამენტების მითითებით სხვა საჭირო მატერიალურ რესურსთან ერთად.

კოლეჯს წარმოდგენილი აქვს ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება  შპს „ახალი ქსელებთან“.

გამართულად მუშაობს ინტერნეტის ქსელი, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს უწყვეტი კომუნიკაცია თანამშრომლებს, ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის კოლეჯი ჩართულია დოკუმენტბრუნვის სისტემაში (eflow.emis.ge) და დანერგილია ელექტრონული ჟურნალის წარმოება (Jurnal. emis.ge).

ექსპერტთა ვიზიტის დროს შემოწმდა პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის გამოყოფილი კომპიუტერული ტექნიკა. კომპიუტერები გამოყოფილია პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის, ასევე ადმინისტრაციისთვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

**ექსპერტთა მიერ ადგილზე გადამოწმდა კომპიუტერული ტექნიკა. კომპიუტერებს აქვს ინტერნეტ ქსელთან თავისუფალი წვდომა. ასევე, მათში ჩატვირთულია პროგრამების და შესასრულებელი სამუშაოების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინტერნეტ- პროვაიდერებთან გაფორმებული ხელშეკრულებით.
- გასავლის ზედდებულით;
- ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
- ინტერვიურება კოლეჯის წარმომადგენელთან;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.5** დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯმა წარმოადგინა 2019 წლის 31 მაისს დამტკიცებული საქმისწარმოების წესი (ბრძანება №33), რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ერთიანი წესების“ საფუძველზეა შედგენილი.

შემოსული კორესპოდენციების მიღება და აღრიცხვა ხორციელდება რეესტრის წარმოების სპეციალისტისა და საქმისმწაროებლის მიერ. მატერიალური სახით შემოსული დოკუმენტი კონვერტირდება ელექტრონულ ფორმატში და რეგისტრირდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (eflow). გასაგზავნი დოკუმენტები ასევე იქმნება ელექტრონულად ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სიტემაში. ფოსტით გასაგზავნი ან ხელზე წასაღები წერილები სარეგისტრაციო ნომრის მითითებით ტარდება ჟურნალში, სადაც შესაბამის გრაფაში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

ფიქსირდება წამღები პირის სახელი, გვარი, ხელისმოწერა და გატანის თარიღი. კოლეჯი გამოცემული ბრძანებები და ხელშეკრულებები აღირიცხება ჟურნალებში.
**ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებაში გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა მიმდინარეობს საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის „საქმისწარმოების წესი“ (ბრძანება №33; 31.05.2019 წ.);
- რეგისტრაციის ჟურნალები;
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა;
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.6** დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ვიზიტის პერიოდში წარმოადგილეს კოლეჯის დირექტორის ბრძანება №56 „წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესის“ დამტკიცების შესახებ, სადაც გაწერილია კოლეჯის წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის პირობები. კოლეჯში გამოყოფილია 3 დარაჯი. დამონტაჟებულია ვიდეომეთვალყურეობის სისტემები. ბრძანება №55-ის (02.07.2019 წ) საფუძველზე შემუშავებულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“. აღნიშნული დოკუმენტის პირველ მუხლი გაწერილია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ, კოლეჯის თვითოეული თანამშრომელის ვალდებულებების შესახებ. კოლეჯის დირექტორის ბრძანება №54-ის (02.07.2019 წ) საფუძველზე შემუშავებულია „პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“, სადაც გაწერილია მედდის ვალდებულებები და უფლებამოსილებები. მედდას ევალება ასევე კოლეჯის ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზრუნვა.

დაწესებულება აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. ექსპერტებმა ვიზიტის დროს შეამოწმეს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. ყველა ცეცხლმაქრის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2019 წლით გარდა ერთი ცეცხლმაქრისა. აღნიშნულთან დაკავშირებით კოლეჯის წარმომადგენლებს ადგილზე მიეცათ მითითება ცეცხლმაქრის ჩამოხსნასთან დაკავშირებით. ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დაცვის თანამშრომლები არ არიან გადამზადებულნი შრომის დაცვისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების საკითხებში. სასურველია დაცვის თანამშრომლების გადამზადება აღნიშნული მიმართულებით. სასწავლო კორპუსებში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული ევაკუაციის გეგმა. **კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია, რომ სასურველია საევაკუაციო გეგმა განაახლონ და შეათანხმონ შესაბამის სამსახურთან.**

დაწესებულებაში არის სამედიცინო პუნქტი. მედდასთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სამედიცინო პუნქტი აღჭურვილია მედიკამენტებით და პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო მატერიალური რესურსით. ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ მედდას და გადაამოწმეს მედიკამენტების ვადები. ექთანმა აღნიშნა, რომ სწავლის დაწყების წინ განაახლებენ წამლებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება №56 „წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება №55 „ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

- კოლეჯის დირექტორის ბრძანება №54 „პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“;
- საევაკუაციო გეგმა;
- ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- წესრიგის დამცველებთან და სამედიცინო პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.7**.დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი.
ექსპერტებმა ინტერვიურება განახორციელეს ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან. მიმდინარე ეტაპზე საშემოდგომო მიღებაზე ჩარიცხულია 7 სპეციალური საჭიროების მქონე პირი სხვადასხვა დარღვევებით.
კოლეჯმა დაგეგმა და მოიწვია საერთაშორისო მაკლეინის ასოციაცია, რომელმაც კოლეჯის წარმომადგენლებისთვის ჩაატარა ტრენინგები ინკლუზიური განათლების შესახებ. კოლეჯმა წინასწარ გააცნო ასოციაციას მათი საჭიროებები. ასეთი ტრენინგები პირველად ჩატარდა კოლეჯ „განთიადში“. აღსანიშნავია, რომ ძირითადად ასოციაცია ტრენინგებს ატარებს მხოლოდ საჯარო სკოლებისთვის. ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და პროფორიენტაციის სამსახურის სპეციალისტი წინასწარ აძლევენ რეკომენდაციას აპლიკანტს და მის მშობლებს, თუ რომელი სპეციალობა არის უმჯობესი მათთვის. კოლეჯი თანამშრომლობს რეესტრის ცენტრთან, საიდანაც იღებენ ინფორმაციას სსმპ-ის შესახებ. შემდეგ კოლეჯი უკავშირდება მათ და ახდენენ შეთავაზებას კოლეჯში სწავლასთან დაკავშირებით. კოლეჯის წარმომადგენლები ეხმარებიან მათ

საბუთების შეგროვებაში და სხვა საჭირო საკითხების მოგვარებაში. ინკლუზიური სპეციალისტი სწავლების პროცესში აკვირდება ინკლუზიურ სტუდენტებს და დაკვირვების შედეგად პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის საჭიროებას. კოლეჯის დირექტორს გამოცემული აქვს ბრძანება №93 (10.09.2018 წ.), ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადში" ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების წესის" დამტკიცების შესახებ. ინკლუზიური განათლების სპეციალისტმა აღნიშნა, რომ დეკემბრის თვეში საერთაშორისო მაკლეინის ასოციაციის მიერ იგეგმება ტრენინგის ჩატარება თემაზე „ოკუპაციური თერაპია".

კოლეჯში თვითოეული ინკლუზიური სტუდენტისთვის შექმნილია პორტფოლიო, სადაც განთავსებულია მტკიცებულებები სხვა დოკუმენტაციასთან ერთად. ინკლუზიური განათლების სპეციალისტმა აღნიშნა, რომ განათლების სამინისტროს მიერ მიწოდებულია მასწავლებლის ფორმა - „პროფესიული სტუდენტის აკადემიური და ფუნქციური უნარების შეფასების ანკეტა", რომელსაც ავსებს მასწავლებელი.

მიმდინარე ეტაპზე კოლეჯს არ ყავს შშმ პირები. კოლეჯში არის გამოყოფილი პირი (დაცვის თანამშრომელი), რომელსაც დირექტორის №94 ბრძანებით (10.09.2018 წ) ევალება ასეთი პირების დახმარება. სველი წერტილები ადაპტირებულია შშმ პირებზე. გარემო ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ფაქტობრივი გარემოება;
- ვიზუალური დათვალიერება;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8** ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია - დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, სტრატეგიული და საქმედო გეგმები, SWOT ანალიზი, მისია, შინაგანაწესი, წესდება, პერსონალი. ასევე განთავსებულია ინფორმაცია სასწავლო პროცესის შესახებ, პროგრამების შეფასების შესახებ. ვებგვერდზე ხელმისაწვდომია - სამართლებრივი აქტები, დადგენილებები, ბრძანებები.

ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად. ვებგვერდი იძლევა უკუკავშირის შესაძლებლობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის ვებგვერდი http://gantiadi.ge/;
- ფაქტობრივი მდგომარეობით.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.9.**შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

კოლეჯის მისია განთავსებულია ვებ გვერდზე: http://gantiadi.ge/ და ის ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის. კოლეჯის მიზანია დემოკრატიული საზოგადოების განვითარება, ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში ხელშეწყობა. კოლეჯმა ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა სტრატეგიული (2017-2022 წწ.) და ერთწლიანი საქმედო გეგმები (2019 წ.) დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მიერ (ბრძანებები №31, №22). ასევე, ვებგვერდზე აქვს წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა http://gantiadi.ge/. სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია გრძელვადიანი გეგმის შესასრულებელი ძირითადი ამოცანები ვადებისა და შემსრულებლების მითითებით. ხოლო ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მოცემულია კოლეჯის ამოცანები, გასატარებელი ღონისძიებები ვადებისა და შემსრულებლების მითითებით. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს აღინიშნა, რომ წარმოდგენილი პროფესიული პროგრამების შემუშავება ეფუძნებოდა რეგიონის საჭიროებებს, რიგ შემთხვევებში კი იმ დარგების განვითარების პროგნოზებს, რომელთა განვითარება რეგიონში სამომავლოდაა დასახული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2019 წლის სამოქმედო გეგმა;
- 2017-2022 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- კოლეჯის ვებ-გვერდი http://gantiadi.ge/.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**3. ადამიანური რესურსი**

**3.1** დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის დირექტორის მიერ 2019 წლის 31 მაისს გამოცემულია ბრძანება №34 ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესის დამტკიცების შესახებ. ექსპერტთა მიერ ვიზიტისას შემოწმდა დაწესებულების პერსონალის (მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლების) პირადი საქმეები. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

კოლეჯის ვებგვერდზე http://gantiadi.ge/ განთავსებულია კოლეჯის სტრუქტურა.
**დაწესებულების პერსონალია:**
დირექცია - დირექტორი, დირექტორის მოადგილე.
ადმინისტრაციული პერსონალი - იურისტი, საქმისმწარმოებელი, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, მთავარი ბუღალტერი, შესყიდვების მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ქსელის ადმინისტრატორი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, რეესტრის წარმოების სპეციალისტი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი, **პედაგოგი,** ლოჯისტიკის მენეჯერი/მძღოლი.
ტექნიკური პერსონალი - მედდა, დამლაგებელი, დამხმარე თანამშრომელი, მეეზოვე, დარაჯი.

სასურველია, რომ კოლეჯის სტრუქტურაში „პედაგოგის“ ნაცვლად გაიწეროს „პროფესიული განათლების მასწავლებელი“.

კოლეჯის წესდებაში განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორისა და კოლეჯის დამფუძნებელთა საერთო კრების ვალდებულებები და უფლებებამოვალეობები. კოლეჯის დირექტორის №33 ბრძანების (ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ საქმისწარმოების წესი) მიხედვით განსაზღვრულია საქმისმწარმოებლის ფუნქციები და უფლებამოვალეობები. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 3 ივნისის №36 ბრძანებაში გაწერილია „თანამშრომელთა ფუნქციონალური უფლება-მოვალეობების განაწილება“ ყველა სტრუქტურული საფეხურისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალის პირადი საქმეები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

- კოლეჯის ვებგვერდი http://gantiadi.ge/

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.2** საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

წარმოდგენილია დაწესებულების განმახორციელებელი პერსონალი პროგრამების მიხედვით:

**„ელექტროობა“.**

- პროგრამის განმახორციელებელი - 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

**„სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია“.**

- პროგრამის განმახორციელებელი - 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

**„მეხილეობა“.**

- პროგრამის განმახორციელებელი - 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

**„მებოსტნეობა“.**

- პროგრამის განმახორციელებელი - 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი

**„მეფუტკრეობა“.**

- პროგრამის განმახორციელებელი - 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღსანიშნავია, რომ პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, პროფესიულ მოდულებში განსაზღვრულია 2 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი.

„ემისის“ სისტემაში ატვირთულია ყველა პროფესიული განათლების მასწავლებლის შესახებ ინფორმაცია - სამუშაო გამოცდილება, განათლება, ტრენინგების გავლის შესახებ ინფორმაცია, პროგრამებისა და მოდულების შესახებ. სულ აღრიცხულია 26 პერსონალი.

**საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.**

დასტურდება:

- პერსონალის  პირადი საქმეები;
- ინტერვიურება პერსონალთან;
- პროგრამის განმახორციელებელ პირებთან „შეთანხმებები“;
- საინფორმაციო ბაზით evet.emis.ge.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.3** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

კოლეჯის მიერ პროგრამების განმახორციელებელ პირებთან გაფორმებულია „შეთანხმებები“ (04.10.2019 წ.). აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი და პირობები. პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში მოხდება მათთან ხელშეკრულების დადება. <u>სასურველია, რომ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ იქნეს პირობა, ავტორიზაციის ან სხვა საქმისწარმოების მიზნებისთვის, შესაბამისი პირების პერსონალური მონაცემების გამოყენების თანხმობის შესახებ.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები;
- პროგრამის განმახორციელებელ პირებთან „შეთანხმებები“;
- ინტერვიუ ადმინისტრაციის წარმომადგენელთან.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

## VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით) | ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ელექტროობა (მოდულური მიდგომით) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრობაში 0713 | 52 | 64 | ქართული | ქ. გორი, ზესიავის №2. | - | 48 |
| 2 | სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია. (მოდულური მიდგომით) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციაში 0732 | 79 | 94 | ქართული | ქ. გორი, ზესიავის №2. | - | 24 |
| 3 | მეხილეობა (დულური მიდგომით) | მეოთხე დონე | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში 0811 | 90 | 120 | ქართული | ქ. გორი, ზესიავის №2. | - | 36 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | მებოსტნეობა (დულური მიდგომით) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მებოსტნეობაში 0811 | 60 | 75 | ქართული | ქ. გორი, ზესიკის №2. | - | 36 |
| 5 | მეფუტკრეობა (დუალური მიდგომით) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში 0811 | 60 | 75 | ქართული | ქ. გორი, ზესიკის №2. | - | 12 |

## IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*